ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01210362234**
თარიღი: **05/02/2021**
პინი: **8446**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 10 დეკემბრის #60-01203452587 წერილი (AR1776512) და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ გიორგი ტივაძის საექსპერტო დასკვნა; ტოპო.გეგმა; ფოტოსურათები; გამწვანების პროექტი), რომლითაც ითხოვთ, მოქალაქე რუსუდან გიორგაძის მომართვის საფუძველზე **ქ. თბილისი, თბილისის ზღვა/ქ. თბილისი, ბეშენოვას ქუჩა #20 (ს.კ. #01.12.21.001.534; #01.12.21.001.179)(რზ-3; ლსზ),** შპს ,,ენჯი და კომპანიას“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში, II კლასის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (თერთმეტი) მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

ვინაიდან, განმცხადებლის მიერ მოსაჭრელად/გადასარგავად მოთხოვნილი მწვანე ნარგავების უმეტესი ნაწილი დიდტანოვანი ეგზემპლარებია, ტერიტორიზე ფიქსირდება დიდი რაოდენობით ზრდასრული, ჯანსაღი წიწივოვანი ნარგავები და მნიშვნელოვანია მათი შენარჩუნება ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნების მიზნით, ასევე, ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, მათი ბუნებრივი გარემოდან ამოღებამ და ახალ ნიადაგში გადატანამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი სიცოცხლისუნარიანობის შეწყვეტა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ მე-2 თავის, 21-ე და 26-ე მუხლების საფუძველზე, **სამსახურს აღნიშნული ნარგავების მოჭრა/გადარგვა მიზანშეწონილად არ მიაჩნია.**

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი